ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

აგრარულ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტი

მალვინა ყულეჯიშვილი

ბიზნესის განვითარების პერსპექტივები და ბიზნეს გარემოს განვითარების შესაძლებლობები საქართველოში პანდემიის (cov19) პირობებში

ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: **ლია ბერიძე**

ბიზნესის მართვის დოქტორი,

პროფესორი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

საბაზრო ეკონომიკის პირობებში დასაქმების პრობლემების მოგვარებაში უდიდესი როლი ენიჭება ბიზნესის განვითარებას, რადგანაც მან შეიძლება დაასაქმოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და გაზარდოს მათი შემოსავლები.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ ბიზნესის განვითარება ორი მიმართულებით ზემოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტზე. ისევე როგორც შემოსავლების ასევე ხარჯების ნაწილში. შემოსავლების მხრივ იმდენად - რამდენადაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ქმნის ახალ საგადასახადო ბაზას, რაც ბიუჯეტში აისახება დამატებითი შემოსავლების სახით. ხარჯვით ნაწილში იმდენად - რამდენადაც ბიზნესის განვითარება ზრდის ამ სფეროში დასაქმებულთა შემოსავლებს, რაც ამცირებს ბიუჯეტიდან შესაბამის სოციალურ ტრანსფერების გამოყოფის შესაძლებლობას.

ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი პროგრამები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მაშინ როცა მსოფლიო და მათ შორის საქართველო ახალი გამოწვევის წინაშე დგას, როგორიცაა პანდემია, შესაბამისად ნაშრომში განხილულია კოვიდპანდემიის გავლენა ბიზნეს სექტორზე და პანდემიის პირობებში დაფინანსების, ხელშეწყობის პრიოტიტებული მიმართულებები და ხელისუფლების მიერ შემუშავებულ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში სახელმწიფოს დახმარების პროგრამები ბიზნესსუბიექტებისატვის და მათი გავლენა მათ სიცოცხლისუნარიანობაზე.

Annotation

In a market economy, business development plays an important role in solving employment problems, as it can employ a large part of the population and increase their incomes.
It should also be noted that business development affects the state budget in two ways. As well as in terms of revenue as well as expenses. In terms of revenue - to the extent that the development of small and medium-sized businesses creates a new tax base, which is reflected in the budget in the form of additional revenue. In the spending part so much - as business development increases the income of employees in this field, which reduces the possibility of allocating appropriate social transfers from the budget.
Business development programs are particularly important as the world, including Georgia, faces a new challenge, such as a pandemic. Impact on their viability.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი----------5

თავი I ბიზნესის როლი თნამედროვე ეკონომიკაში.

1.1 ბიზნესის განვითარების ეტაპები საქართველოში----------8

1.2 ბიზნესის (მცირე და საშუალო) განვითარების ეტაპები საზღვარგარეთის ქვეყნებში ----------13

1.3 ბიზნეს გარემოზე პანდემიის (cov 19) გავლენა ----------19

თავი II ბიზნეს გარემო და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში პანდემიის ფონზე

2.1 ბიზნესის ხელშემწყობი გარემო საქართველოში პანდემიის (cov 19) ფონზე-----31

2.2 ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში ----------36

დასკვნა----------45

გამოყენებული ლიტერატურა----------46

შესავალი

თემის აქტუალობა. ბიზნეს სექტორებს ახასიათებს, როგორც დადებითი,ისე უარყოფითი ელემენტები.დადებით მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს ადგილობრივ პირებთან ადაპტაცია, მოქნილობა და შესრულების ოპტიმალურობა.უარყოფითი მხარეებია:რისკის მაღალი დონე, რაც განპირობებულია ბაზარზე არსებულ ნაკლებ სიმყარეს.

ბიზნესის წარუმატებლობა ყველაზე მეტად დაკავშირებულია მათ მესაკუთრეებიის გამოუცდელობასთან და არაკომპეტენტურობასთან.ბოლო წლეების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია ბიზნესგარემო, მთავრობის მირე გატარებული რეფორმების შედეგად.

ზოგადი ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიუხედავად, ბიზნეს სექტორი მეწარმეობის განვითარების თვალსაზრისით, საქართველოში იგივე გამოწვევები დგას, რაც მრავალ განვითარებად ქვეყანაში.მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესში მოდის მოქმედი საწარმოების უდიდესი ნაწილი.

კვლევის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე გამოკვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბიზნეს განვითარების ეტაპების ძიება როგორც საქართველოში ასევე მის საზღვრებს გარეთ. ასევე როგორ ხდება სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობი ფაქტორებიის შემუშავება ბიზნესის განსავითარებლად COVID-19-ის პირობებში და რა ბერკეტებს იყენებს კრიზისის დასაძლევად განვითარებული სახელმწიფოები.

საქართველოს მთავრობა ეკონომიკური განვითარების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მცირე და საშუალო მეწარმეობას და მიზნად ისახავს სამეწარმეო გრემოს შემდგომ სრულყოფას, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო საწარმოების ზრდას და განვითარებას.

საქართველოს მთავრობა საგანგებო ყურადღებას უთმობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საქართველო- ევროკავსირის შეთანხმების კონტექსტში.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება დღევანდელ ეტაპზე ორიენტირებულია მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის გაღრმავებაზე.ამ მიზნით ხორციელდება ეკონომიკის და ბიზნესის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბება, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. მოცემული პრობლემის გადასაწყვეტად სახელმწიფო უნდა აუზრუნველყოფდეს მცირე და საშუალო მეწარმეების,მსხვილი ბიზნესისა და მუნიციპალიტეტების ერთად განავითაროს ბიზნესი და მისი გარემო

საქართველოში არსებობს უნიფიცირეული სისტემა, სადაც მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილ მეწარმეობასთან ერთად მოგების ერთნაირი დასაბეგრი რეჯიმით განისაზღვრება.

სტრატეგიული მიმართულებები და პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებები, რომლებიც ასახულია წინამდებარე სტრატეგიასი, შემუშავებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის, ბიზნესგარემოს ანალიზის, არსებული შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პოლიტიკის შესაბამისი ეფექტიანმა განხორციელებამ უნდა უზრუნველყოს სტარტეგიაში დასახული მიზნების მიღწევა 2020 წლისთვის.სპეციფიური ღონისძიებები გაწერილია სტრატეგიაში თანდართულ სამოქმედიო გეგმაში.სტატეგიაში ასევე გათვალისწინებულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი ბიზნეს განვითარებისთვსი.

ბიზნესის განვითარების სტრატეგია შემუშავებულია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან აქტიური თანამშრომლობითა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკური კატეგორიები, საბაზრო ეკონომიკის, ბიზნესგარემოს, ბიზნესის სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის, ამ მიმართულებით არსებული განვითარების და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ სხვადასხვა ავტორთა სამეცნიერო გამოკვლევები და გამოყენებითი ხასიათის ნაშრომები.

სამაგისტრო ნაშრომის ინფორმაციული წყაროა საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მონაცე-მები, სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურა, აგრეთვე ინტერნეტ მასალები და ენციკ-ლოპედიები, ბიზნეს სფეროში მომუშავე სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო შრომები. თემის ცალკეული საკითხების დამუშავების პროცესში

გამოყენებულ იქნა გამოცდილი ექსპერტების, მეწარმეთა და მომხმარებელთა გამოკ-ითხვის მასალები.

კვლევის მეცნიერული სიახლე. ნაშრომი წარმოადგენს მცირე ბიზნესის განვითარების ტენდენციების ახლებურ კომპლექსურ გამოკვლევას საბაზრო ეკონომიკის პირობებსი.სიახლეთა შორის აღსანიშნავია შედეგი:

- განისაზღვრა ბიზნესის საქმიანობის, როგორც ურთირთობათა ერთობლიობის არსი,ბიზნეს ურთიერთობები განხილულია, როგორც საზოგადოების ეკონომიკური პროგრესის,განვითარების წყარო
- წარმოდგენილია მოსაზრებები მეწარმეობასა და ბიზნესის ძირითად თავისებურებებზე.
- მოცემულია რეკომენდაციები და განხილულია ბიზნესის როგორც სუბიექტის განვითარების ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმების თაობაზე.
- წარმოდგენილია ბიზნესის როლი და ეფექტიანობის ძირითადი მახასიათებლები საქართველოს მაგალითზე.
- განხილულია COVID-19 -ის ფონზე წარმოქმნილი კრიიზისები საწარმოებსა და ბიზნეს სექტორებში და განხილულია ამ კრიზისის დაძლევის პერსპექტივები.

თავი I ბიზნესის როლი თანამედროვე ეკონომიკაში

1.1 ბიზნესის განვითარების ეტაპები საქართველოში

ბიზნესის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ხელსაყრელი გარემო, რომელიც წარმოადგენს სოციალურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, გეოგრაფიულ ფაქტორთა ერთობლიობას და ზემოქმედებს ბიზნესის სტრატეგიებზე, პროცესებსა და განვითარების შესაძლებლობებზე.

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებაზე, წარმოადგენს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი სისტემები. პოლიტიკური გარემოს დანიშნულებაა საზოგადოების ინტეგრირება ერთიან სასიცოცხლო ორგანიზმად.

ეკონომიკური გარემოს დანიშნულებაა შეზღუდული რესურსების განაწილება კონკურენტებს შორის და დაკავშირებულია ამ რესურსების რეგულირებასა და კოორდინაციასთან; აგრეთვე, ქონების მესაკუთრის განსაზღვრასთან. სამართლებრივი სისტემა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ბიზნესის საქმიანობაზე.

უკანასკნელ წლეებში გატარებულმა რეფორმებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზციების მიერ გაკეთებულ პოზიტიურ შეფასებაში, რომლებიც ძირითადად ახალი კანონების დაეფუძნა.

სახელმწიფოს ეკონომკური ძლიერება და მოსახლეობის კეთილდღეობა წარმოუდგენელია მაღალგანვითარებული სამეწარმეო საქმიანობის გარეშე. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და შეუქცევადი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპების მიღწევაში, ბიზნესი თამაშობს ცენტრალურ როლს.

აქედან აუცილებელია როგორც მცირე ისე საშუალო ბიზნესის განვითარება, იმისთვის, რომ ქვეყანაში წარმოიშვას მძლავრი საშუალო ფენა, რომლის გარშეც, ეკონომიკის მდგრად განვითარებას პერსპექტივა არა თუ გააჩნია არამედ დაკარგავს კიდეც.

სწორედ აღნიშნულის განსახორციელებლად და ბიზნესის განვითარებისთვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ რაციონაალური ეკონომიკური პოლიტიკის

გატარებით, როგორც მცირე ისე საშუალო ბიზნესის მეწარმეობისა და დამწყებ მეწარმეთა მხარდაჭერისთვის.

ეკონომიკირი რეფორმების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია მცირე საწარმოთა განვითარება, რაც განაპირობს საბაზრო კონკურენციული გარემოს განვითარებას, ასევე საქონლითა და მომსახურებით მომარაგებული სამომხმარებლო ბაზარი, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ახალი ადგილების შექმნას და მეწარმეთა ფართო წრის ფორმირებასა და განვითარებაში.

ამდენად ბიზნესი ავლენს თავის მოქნილობას, სიცოცხლისუნარიანობას, მას ახასიათებს ბაზრის მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირების უნარი, მაღალი ხარისხის მქონე სპეციალიზაცა და რესურსების პერსპექტიული მობილიზაციის შესაძლებლობა.

მცირე ბიზნესი წარმოადგენს საგადაახადო შემოსულობათა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს. მცირე ბიზნესი მონაწილეობს ყველა დონის ბიუჯეტების ფორმირებაში.

გარდა იმისა , რომ ბიზნეს საწარმოები თავიანთი შემოსავლებიდან ბიუჯეტში რიცხავენ თანხებს, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, რაც წარმოადგენს მოსახლეობის შემოსავლის წყაროს, ხელს უწყობენ ფიზიკური პირებიდან თანხის ამოღებას.

ბიზნესი, როგორც ეკონომიკის რეალური მოვლენა, დაკავშირებულია საბაზრო სისტემასთან და მის საქმიანობებთან. ამ შეხედულებით თუ ვიმსჯელებთ ბიზნესის წარმოშობა დაკავშირებულია საქონელგაცვლის პროცესებთან, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ის ერთერთი ეკონომიკური მოვლენის დამახასიათებელი მოვლენაა.

ბიზნესის განვითარებას კიდევ უფრო ხელი შეუწყო ვაჭრობისა და ხელოსნობის ცალკე დარგად ჩამოყალიბებამ. ამდენად თავიდანვე იყო შრომა დანაწილებული, რადგან სხვადასხვა პროფესიის წარმოშობა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული ახალი მოთხოვნილებების და პირობების გამო.

კაპიტალიზმის პირობები აღმოჩნდა ბიზნესის განვითრების ახალ საფეხურზე მიღწევის მიზეზი, სადაც წარმოშობის ყველა ასპექტი მიწა, შრომა და კაპიტალი ყიდვა-გაყიდვის ობიექტია ხოლო პროდუქცია გასაყიდად იწარმოება.

ბიზნესის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია და შეიძლეება ითქვას ,რომ ის თავდაპირველად იყო მცირე ზომის, ვინაიდან იმ დროისათვის მას არ ჰქონდა გასაქანი და მასიური წარმოება.

ისტორიული წყაროებიდან კი ირკვევა, რომ საქართველოში მეწარმეობა დაკავშირებული იყო მონათმფლობელურ წყობილებასთან და ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ვაჭრობით იწყებს განვითარებას.

უძველესი ფორმა წარმოების იყო ოჯახური მრეწველობა, რომლისგანაც სხვა დარგის მრეწველობამ დაიწყო განვითარება. მზადდებოდა სხვადასხვა სახის ხელოვნური პროდუქტები, ქსოვილები და ტანისამოსები, ნედლეულად კი სხვადასხვა ახის პროდუქტებს იყენებდნენ:კანაფი, აბრეშუმი, რკინასა, სპილენძს, ვერცხლს და ოქროს და ა.შ

არსებობდა ხელოვნური პროდუქციების შემდეგი სახეები:

1. ხელოვნებისა და საოჯახო მეურნეობის ნაწარმს ყიდდენ სახელოსნოებსა და დუქნებში
2. ხელზე ვაჭრობა სოფელში,მამაკაცების მხრიდან.
3. ყოველკვირეული და ყოველთვიური ვაჭრობის გამართვა.

შრომის დანაწილებასთან და გაღრმავებასთან ერთად სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა შიდა მეურნეობა და სავაჭრო ბრუნვა.

XII-XIII საუკუნეებში საქართველო ითვლებოდა ევრაზიის უდიდეს სახელმწიფოდ, რომელიც ვაჭრობით დაკავშირებული იყო სხვადასდხვა საზღვარგარეთის ქვეყნებთან:სირია, ბიზანტია, ინდოეთი, ეგვიპთე და ა.შ. ექსპორტი კი შეადგენდა ბამბას , სამოსელს, ღვინოს და თაფლს.

მიუხედავად ამ ყველაფრისა მოსახლეობა მაინც ინარჩუნებდა მეურნეობისა და საქონელწარმოების ქართულ ტრადიციებს.

საქართველოში მეწარმეობის განვითარების ახალი ეტაპი XIX ს-ის 30-იან წლებიის პერიოდიდან იწყებან, რასაც ხელი შეუწყო სამხრეთ კავკასიაში შეღავათიანმა საგარეო ვაჭრობის ტარიფების დაწესებამ.ამით სრული თავისუფლება მიენიჭა ევროპული ცივილიზაციის კაპიტალის შემოსვლას რეგიონებში.

მთლიან საქართველოში დიდი როლი ითამაშა ხელოვნურმა წარმოებამ, რაც ნამდვილად არ იყო შემთხვევითი მოვლენა. ის განპირობებული იყო პირველ

ხარისხოვანი ნედლეულის სიუხვით ანუ თითქმის ყველა რეგიონში შეგეძლო მოგეპოვებინა შალი, აბრეშუმი, ხის ჯიშები, გიშერი და ა.შ.

ქვეყნის უმრავლეს საწარმობსწარმოადგენდა მცირე საწარმოები.ხელოვნების სხვადასვა ჯგუფიდან დასაქმებული მუშების რაოდენობით პირვლობას გემო-მრეწველობა წარმოადგენდა.შემდეგ ტყავის და ხის დამუშავება და ა.შ

XIX საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში შეიქმნა პოლიტიკური სტაბილურიობა,რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ამ პროცესებს კი ხელს უწყობდა უცხოეთიდან შემოტანილი სხვადასხვა მანქანა-დანადგარები, სპეციალისტების დაქირავება და ადგილობრივი კადრების მომზადება ან გადამზადება.

ცვლილებებმა რათქმაუნდა იმოქმედა შინამრეწველობაზეც. საოჯახო მრეწველობა წარმოადგენდა გადამამუშავებელი მრეწველობის ერთ-ერთ ფორმას. ამ დროს ხდებოდა ნედლეულის გადამუშავება იმავე მეურნეობაში, სადაც ის მოიპოვება.წარმატებული ბიზნესის შემთხვევაში შინამრეწველი მალევე გადიოდა ბაზარზე,რიტაც ყალიბდებოდა კაპიტალური შინამრეწველობა.

მთიან რაიონებში, სადაც განვითარებული იყო მეცხვარეობა, მისდევდნენ მატყლის შინამრეწველობას, ხოლო ბარში, მიწათმოქმედებას.საქართველოში განვითარებული იყო აგრეთვე ხის დამამუშავებელი შინამრეწველობა, რძის პროდუქტების გადამუშავება და ა.შ.

XIX საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად დაწინაურდა ხელოვნების დარგი მეკასრეობა,რაც განპირობებულიმ იყო ღვინის ექსპორტის გაფართოებით. სოფლად მცხოვრები შინამრეწველები საღვინე კასრების დასამზადებლად სხვადასხვა სახის მუხას , ხოლო ციმბირის კარაქისთვის წიფელას.

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში მე-19 საუკუნის ბოლოს განვითარებული ყოფილა ნოხების დამამძადებელი შინამრეწველობა, რომელიც გლეხს ყოველწლიურად 40,9% -ით უზრუველყოფდა. ერთ- ერთი სახეობა გიშრის ნაკეთობათა წარმოებაც, ასევე მზადდებოდა საზღვარგარეთ გასაყიდად.

1883 წელს ბათუმ- სამტრედიის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ ბათუმი დააკავშირა ბაქოსთან, რამაც საპორტო-სამრეწველო ქალაქის ზრდა და განვითარების პერსპექტივები გამოიწვია.

ბათუმის, როგორც ერთ-ერთი საპორტო ქალაქის მნიშვნელობის გაზრდამ მისი სამრეწველო ცენტრად გადაქცევა გამოიწვია. 1902 წლისთვის კი ბათუმში იყო დაფიქსირებული 366 საწარმო, რომელთა შორის თუნუქის დამამზადებელი ქარხნებიც იყო. უცხოელთა ასეთი აქტიურობა გამოწვეული იყო ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელობის გამო, ასევე სარკინიგზო ინფრასტრუქტურის, იაფი ნედლეულისა და მუშახელის არსებობით. დასაფიქრებელია, რომ იმ პერიოდის საქართველოში განხორციელებული უცხოური ინვესტიციები გახდა კარგი შედეგის მომცემიეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის.

განვითარდა სხვადასხვა წარმოების დარგები. შემოვიდა ახალი ტექნოლოგიები, რასაც მოჰყვა ფაბრიკების მშენებლობა და განვითარება, მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება, ცხოვრების გაუმჯობესებადა რაც მთავარია საზოგადოების უნარჩვევებმა განიცადა ტრანსფორმაცია უფრო პროგრესისკენ.

ეკონომიკა ასევე განვითარდა მნიშვნელოვნად ქუთაისში. 1804 წელს ქუთაისში აქტიურად მისდევდნენ სხვადასხვა სახის ქსოვილების დამზადებას.ასევე მზადდებოდა სხვადასხვა სახის იარაღები:თოფები, დანები, ხანჯლები და ა.შ. აქ ხდებოდა საუკეთესო ფოლადების გადადნობა.თანხის უდიდესი ნაწილი კი მაინც ტანსაცმლის ნაწარმზე.

იმ დროინდელი მსხვილი საწარმოებიდან აღსანიშნავია ქვანახშირისა და მარგანიზქაცის წარმოებები.ამ პროდუქციაზე გაზრდილმა მოთხოვნა იზიდავდა უცხოურ კაპიტალს.

დღეს საქართველო აქტიურად მონაწილეობს აღმოსავლეთ პარტნიორობის მცირე და საშუალო ბიზნესის პანელი და თანამშრომლობს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), ევროპული განათლების ფონდთან (ETF), ევროპის რეკონსტრუციასა და განვითარების ბანკთან (EBRD) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებსი ხორციელდება რიგი ბიზნეს სუბიექტზე ორიენტირებული პროექტები, მეწარმეობის ზრდის პროგრამის (EGP) და

ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების (BAS) პროგრამების ფრგლებში, რომელიც ხორციელდება EBRD-ის მიერ, 800-ზე მეტ მცირე და საშუალო მეწარმეს გაეწია მხარდაჭერა.საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს ევროკავსირის EastInvest პროექტში,, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა.

რეფორმების განვლილმა პერიოდმა აჩვენა, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსი-სამეწარმო პოტენციალი, ჩავრთოთ ქვეყნის ეკონომიკური და ტექნოლოგიურ აღორძინებასში.

1.2 ბიზნესის (მცირე და საშუალო) განვითარების ეტაპები საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ბიზნესი განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვან ეკონომიკურ-სოციალურ ფუნქციას ასრულებს, რაც გულისხმობს დასაქმების უზრუნველყოფას, ინოვაციურ აქტივობის მხარდაჭერას და სოციალური უთანასწორობის შემცირებას .

საზღვარგარეთის ქვეყნებში ბიზნესის განვითარების დონე განსაზღვრავს სახელმწიფოს ეკონომიკის ხარისხს. ქვეყნებში სადაც ბიზნესის განვითარება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, რადგან განვითარებული სახელმწიფოები დიდ მნიშვნელობებს ანიჭბენ მცირე საწარმოებს და მხარს უჭრენ მათ ფუნქციონიერებას.

ბიზნესი საწარმოების ადგილისა და როლის ზრდის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მომხმარებლები და სამუშაო ძალის ცვლილებები, რამაც განაპირობა მომსახურე სფეროს წინა პლანზე წეამოწევა.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესი იძლევა ადამიანური პოტენციალის ოპტიმალურ გამოყენების შესაძლებლობას, სადაც არ არის მართვის ბიუოკრატიული სტრუქტურა.

მცირე საწარმოებს ყოველთის ეჭირათ დომინანტი ადგილი ეკონომიკაში, მიუხედავად წარმოებებისა.

XX-ის დასაწყისისთვის გერმანიაში, ავსტრიაში საფრანგეთში და შვეიცარიაში საწარმოთა 80-90%-ს მცირე საწარმოები შეადგენდა, თუმცა მსხვილი ბიზნესი გამოირჩეოდა დასაქმებულთა მზარდი რაოდენობით.

2004 წლისთვის ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყნებში ფუნქციონირებდა 20 მლნ-ზე მეტი მცირე და საშუალო საწარმოები. სადაც დასაქმებული იყო 122 მლნ-ზე მეტი ადამიანი.

ევროპი ეკონომიკური თანამშრომლობისა განვითარებული ორგანიზაციებისა და ევროპის თანამეგობრობის ქვეყნებში მცირე ბიზნესისგაზრდილმა როლმა გამოიწვია განბვითარებულ ქვეყნებში შემუშავებული სპეციალური პოლიტიკა,რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენს :

- ახალი სამუშაოები.
- წარმოების მოდიფიკაცია.
- ინოვაციური წარმოებები.
- უცხოური კომპანიებისა და ინვესტორების მოზიდვა
- მცირე ბიზნესის საწარმოების საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გათანაბრება.
- ტექნოლოგიების ტრანსფერი.

ბიზნესი წარმოადგენს ევროპისთვის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს.ევროკავშირში არსებული 20მლნ-ზე მეტი აშუალო და მცირე ბიზნესები იძლევა ბრუნვისა და დღგ-ს ნახევარს.

ბიზნესების უმრავლესობა შექმნილია მშენებლობის, ვაჭრობის და კვების მრეწველობაში.ევროკავშირის ქვეყნების მთელი ეკონომიკის ეფექტიანობა დამოკიდებულია მცირე მეწარმეობის მხარდამჭერ პოლიტიკაზე, რომელიც აბალანსებს სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესები, რაც ქმნის ოპტიმალურ პირობებს ბიზნესებისთვის და ზრდის კონკურენტურნარიანობას.

უმეტესი საზგვარგარეთული ქვეყნები ამუშავებს მცირე ბიზნესის მიმართ პოლიტიკურ ფეოდალურ ხელისუფლების პრეროგატივას.

უნდა ითქვას, რომ მცირე ბიზნესების ჩამოყალიბება და რეგულირება დაიწყო გასული წლის 70-იან წლეებში.სტიმულიზაციისთვის კი ევროპამ შეიმუშავა ღონისძიებები , რაც ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას.

ძირითადი მალეგულირებლები ევროპაში არის ფინანსური,ტექნოლოგიური, საკადრო, საინფორმციო მიზნების შემუშავებითა რეალიზაციით.ბიზნესი სტიმულირებისთვის კი შემუშავებული იქნა ახალი იურიდიული მოდულები, რომელიც საშუალებას იძლევა გადაჭრას პრობლემები სხვადასხვა ქვეყნის სამართებლივ სისტემებს შორის.

ევროპაში ბიზნესის მხარდაჭერა ხორციელდება სახელმწიფოს და ევროკავშირის ეგიდით.ბიზნესების მხარდაჭერა ხორციელდება ევროკავშირის ისეთი ფონდებიდან , როგორიც შეიძლება იყოს რეგიონალური განვითარების ფონდი სოციალური და ა.შ არსებობს რათქმაუნდა კრიზისული პირობები რასაც ევროპული ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესები უფრო კარგად შეეგუა და ეფექტიანად გამოიყენა ბაზარზე მისი მანერირების შესაძლებლობის გამო.

საქართველოსთვის განსაკუთრებით საყურადღებოა სინგაპურის გამოცდილება მცირე მეწარმეობის საკითხში, რომელიც არის განვითარებული საბაზრო ეკონომიკითა და ფინანსური ინფრასტრუქტურებით.

ამ ქვეყანაში შეიქმნა მცირე მეწარმეობისთვის პირობები, რომელიც გადმოცემული და აღწერილია კანონმდებობაში, განსაკუთრებულად კი შეღავათით სარგებლობს დამწყები და საშუალო საწარმოები, რათქმაუნდა მეწარმეობის ასეთი განვითარება ხდება სახელმწიფოს მხარდაჭერით.რათქმაუნდა ევროპის და ევროკავშირის ქვეყნები დაინტერესებული არიან ბისზნესის განვითარებით და ხელს უწყობს მის კონკურენტიანერობას ბაზარზე.

სამხრეთ კორეში ეკონომიკის განვითრების ისტორია მკაფიოდ გამოხატავს მასში მცირე მეწარმეობის წვლილს.

მრავალი წლის განმავლობაში მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრუქტურა ესპანეთში სტრუქტურის, ორგანიზაციული ფორმისა და საქმიანობის მიხედვით სამაგალითოა. ასეთი შეფასების მთავარ არგუმენტად მიჩნეულია ამ სახის ბიზნესისგან 72%-ის ფორმირება.

ესპანეთში შემუშავებულია ბიზნესის განვითარების უამრავი პროგრამა.მათთვის, ვინც საკუთარი საქმის წამოწყებას აპირებს, შემუშავებული და წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა დამხმარე პროგრამები.

მეწარმე პირველი 5 წლის განმავლობაში არ იხდის გადასახადებს, აგრეთვე მას შეუძლია ბიზნესის გასაფართოებლად ისარგებლოს უვადო საკრედიტო დახმარებით.ესპანეთის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მცირე საწარმოებს, რომელთა დიდი სოციალური თუ ფინანსური მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მთავარ დადებით ფაქტორად ესპანეთში შეიძლება დავასახელოთ ბიუკრატიის დაბალი დონე. საწამოს რეგისტრაცია და ლიცენზიის აღება განცხადებიდამ 24 საათში ხდება.

ეს პროცესი უცხო ქვეყნის მოქალაქებიისათვისაც არ წარმოადგენს პრობლემას. მიმინიმუმამდეა დაყვანილი სახელმწიფოს სტრუქტურების მაკონტროლებელი ფუნქციები.

საფრანგეთში მცირეა საწარმო თუ მასში დასაქმებულთა რაოდენობა 50-მდე კაცია.დღესდღეობით ამ ქვეყანაში დრეგისტრირებულია 2 მილიონამდე მცირე თუ საშუალო საწარმოები.აქედან ნახევარი მომსახურების სფეროა დანარჩენი კი ვაჭრობა,მშენებლობა და მრეწველობაა.

ყოველწლიურად ქვეყანაში იქმნება 250 ათასი საწარმო და კოტრდება და ლიკვიდაცია ხდება 50 ათასამდე საწარმოსი.ამასთან, საფრანგეთში შექმნილი ახალი სამუშაოები 40-50% მოდის სწორედ მცირე ბიზნესებზე.3 მილიონი მცირე ბიზნესის საწარმოდან დაახლოებით1.5 მილიონი ეკუთვნის ინდივიდუალურ მეწარმესან საოჯახო ბიზნესს,რომელიც სამქმიანობას დაქირავებული პერსონალის გარეშე ეწევა.

საფრანგეთში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის საკითხში შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე საკვანძო საკითხი.ბოლო პერიოდში ქვეყანაში შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულიზაციის სერიოზული სახელმწიფო სისტემა .

ახალი მცირე საწარმოები ორი წელი თავისუფლდებიან სააქციო საზოგადოებების და ადგილობრივი გადასახადებებისაგან.მათთვის შემცირებულია საშემოსავლო გადასახადი და მოგების გადასახადი ინვესტირებადი ნაწილისაგან.4

სახელმწიფო ლოიალურია განსაკუთრებით მათდამი, ვინც საკუთარი ბიზნესის გახსნას ეკონომიკურად დეპრესიულ რეგიონებსი აპირებს.ასეთ მეწრამეებზე ვრცელდება შეღავათები ან საერთოდ თავისუფლდებიან გადასახადებისგან.

უმუშევართათვის, რომლებმაც საკუთარი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტეს, მოქმედებს დახმარების სპეციალური სისტემა.ისინი სამი წლით თავისუფლდებიანგადასახადების გადახდებისგან და ერთი წლით არ იხდიან სავალდებულო სოციალურ შენატანებს სოცდაზღვევის ფონდებში.მცირე

საწარმოების თითქმის ყველა მეპატრონეს შეუძლია ჰქონდეს შეღავათიანი კრედიტისა და სუბსიდიის იმედი.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების მიმართ გადაწყვეტილებები ფედერაციის, მიწების, სამოქალაქო თვითმართველობებსა და თემების დონეზე მიიღება, რაშიც ბოლო პერიოდია მკაფიოდ და ფართოდაა ჩართული კომისია.

გერმანიაში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფო მხარდაწერა მოიცავს 500-ზე მეტ ფედერალური და რეგიონალური მნიშვნელობის პროგრამებს,რომელიც ხელს უწყობენ ინვესტიების მოზიდვას.

მხარდაჭერა გულისხმობს ტექნოლოგიებისა და შესაბამისი ეკონომიკური ინფორმაციის მიწოდებას, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტიდან სხვადასხვა ეკონომიკურ და ტექნიკურ კონსულტაციებს, მცირე და საშუალო ბიზნესის ხემძვანელობის და მუშაკების კვალიფიკაცის ამაღლებასა და სწავლების დაფინანსებას.

აგრეთვე ხდება დახმარების გაწევა საწარმოს საწყისი კაპიტალის ფორმირებაში, როდესაც საქმე გვაქვს უპირატესად გრძელვადიან დაბანდებასთან, რაც გულისხმობს რაციონალიზაციას, მოდერნიზაციას, გაფართოებას.

მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერესები სპეციალური კანონებით და სამართებლივი აქტებითაა დაცული.მათი ნაწილი უკავშირდება ინვესტიციების მცირე დასასუალო ბიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნას.

გერმანიაში მცირე და საშუალო პირდაპირი მხარდაჭერა ხდება:

- სახელმწიფო საინვესტიციო წანამატები და სუბსიდიები.
- შეღავათიანი კრედიტების გაცემა.

მცირე და საშუალო ბიზნესისთვის შეღავათიანი კრედიტებიოს გაცემა საერთო წესების მიხედვით წარმოებს, ყურადრება ექცევა მხოლოდ კრედიტუნარიანობას.კრედისტის მისაღებად განცხადება უნდა წარედგინოს გერმანიის კომერციულ ბანკს, რომლებიც ახდენენ კრედიტების გაცემასდ და შემდგომში მუშაობენ კლიენტებთან.რაც შეეხება შეღავათიანი კრედიტის გაცემის პირობას შეადგენს

- დაბალი საპროცენტო განაკვეთი.

• კრედიტის გაცემის ხანგრძლივი პერიოდი.

• აღებული თანხის ხშირად დამატებითი გადასახადების გარეშე ნებისმიერ დროს დაბრუნებას.

• წილობრივი დაფინანსება.

დანამატებისა და სუბსიდირების გარდა რეგიონული მხარდაჭერის ინსტრუმენტს წარმოადგენს ამორტიზაციის შეღავათიანი რეჟიმი.იგი ეხება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ მიწების ეკონომიკის აღორძინების საინვესტიციო კრედიტებს.

სახელმწიფოს მიერ ასევე ხდება მცირე და საშუალო ბიზნესის სუბსიდირება საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობისას.ფეოდალური მთავრობა ხელს უწყობს განვიტარებად ქვეყნებში განლაგებულ გერმანულ და მცირე და საშუალო საწარმოებს და იძლევა პოლიტიკური რისკების გარანტიებს.

გერმანიაში საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურებას გასწევენ უმთავრესად სავაჭრო-სამრეწველო პალატები.მათი წევრობა სავალდებულოა ყველა კომერციული კომპანიისთვის.ისინი მომსახურება გასცემენ უსასყიდლოდ.

უნდა აღინიშნოს, რომ ადმინსიტრაციული ბარიერები აფერხებენ მცირე ბიზნესის განვითარებას, დასაქმების და ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ზრდას.ამიტომაც განვითარებულ ქვეყნებში ცდილობენ მაქსიმალურად შემცირდეს ასეთი ტიპის ადმინისტარციული ტვირთი. ადმინსტრაციული ბარიერები გარკვეულ დამატებით ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავსირებული. კერძოდ, ესენია:

1. თანამშრომელთა ანაზღაურება, რომლებიც დაკავებულნი არიან ინფორმაციის მოპოვებით.

2. მოწყობილობებით რომლებიც საჭიროა კანონმდებლობის მოთხოვნი შესასრულებლად.

3. კონსულტანტების შრომის ანაზღაურება და აუცილებელი დახმარების ღირებულება.

ბელარუსიაში მეწარმეობის ხელშემწყობი ცენტრი -,,ბელბიზცენტრი“ კონსულტაციებს უწევს პოტენციურ მეწარმეებს ბიზნესის ორგანიზაციის საკითხზე.იგი აწვდის მათ ინფორმაციას ბაზრების შესახებ და ეხმარება

კორპორაციული დოკუმენტების შექმნაში, იძლევა რეკომენდაციებს დაბეგვრის, ლიცენზიების და სერთიპიკატის საკითხებში.

ჩეხეთის რესპრუბლიკაში სახელმწიფო არაკომერციული ორგანიზაციის მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ შექმნილი რეგიონული საინფორმაცო-საკონსულტაციო ცენტრები და მეწარმეობის და ინოვაციების ცენტრები.

ისინი გასცემენ მთელ რიგ საბაზრო მომსახურებას:საცნობარო,იურიდიულ და საგადახადო,საბუღალტრო აღრიცხვას დოკუმენტებისმომზადებას სესხის მისაღებად და სხვა.[1]

მეწარმეობის და ინოვაციების ცენტრები მომსახურების ფართო სპექტრში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ მცირე და საშუალო საწარმოებებს, სამრეწველო საწამობებისნ მხარდაჭერაზე.

განვითარებულ ქვეყნებში თვლიან რომ საგადასახადო სისტემა უნდა იყოს ისე მოწყობილი, რომ ხელი ეწყობოდეს ბიზნესის განვითარებას და წარმატებულობას.ახალი საწარმოების შექმნას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

მცირე და საშუალო საწარმოების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მთავარ მიზანს ერთიანი შიდა ბაზრის გამყარება , ადმინისტრაციული ბარიერების გაუქმება, საკანონდებლობაზის უნიფიკაცია და სხვა წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მხარს უჭერს ზრდის პოტენციალის მქონე საწარმოებს, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მოსახლეობის დასაქმება,შემოსავლის ზრდა.

მცირე და საშუალო ბიზნესის მოწყობისა დაფუნქციონირების პრინციპები, მხარდაჭერის ფორმები და მეთოდები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით განსხვავებულია.

- [1] https://report.ge/economics/laris-kursi-da-pandemia-biznesi-2-frontis-khazze/
- https://formulanews.ge/News/46529
- https://1tv.ge/audio/biznespartniori-pandemia-ekonomikuri-krizisi-da-biznesis-molodini/
- https://www.ge.undp.org/content/georgia/ka/home/presscenter/pressreleases/2020/coronavirus-business-survey.html

1.3 ბიზნეს გარემოზე პანდემიის (cov 19) გავლენა

COVID-19 პანდემიის გავლენა მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესის ეკონომიკურ და პროდუქტიულობის ზრდაზე ნათლად ჩანს ,,გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია“ (UNECE)-ის მიერ მომზადებული კვლევზე: სახელმძვანელო მითითებები და საუკეთესო პრააქტიკის მაგალითები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერგიის მოწყობილობების მიწოდებაში“.

კვლევამ აჩვენა, თუ როგორ პასუხობს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესი სხვადასხვა ზომებსა და გაურკვევლობებს, რომლებიც მიიღება და წარმოიქმნება შეზღუდვების, სამთავრობო ზომებისა და ხალხის ქცევის შედეგად.

როგორც COVID-19 გავრცელების შემდეგ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, ქართული კომპანიებისთვის ოთხი ყველაზე პრობლემური საკითხია: მოთხოვნის შემცირება, ვალუტის კურსის რყევები, საზღვრების ჩაკეტვა და კლიენტების მიერ დაგვიანებული გადახდები. როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს 2020 წლის II კვარტალიდან მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოება და ბრუნვა შემცირდა დაახლოებით 24%-ით , 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (დიაგრამა N1,3,1).

დიაგრამა N 1.3.1 მცირე და საშუალო ბიზნესის წარმოება 2019-2020წწ



წყარო:საქსტატი

ახლა კი განვიხილოთ მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა 2019-2020 წლეებში და განვიხილოთ დიაგრამა (დიაგრამა N1,3,2)

დიაგრამა N1.3.2 მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვა 2019-2020 წწ



წყარო:საქსტატი

კრიზისის პერიოდი გარკვეულ წილლად აისახა ბიზნესების რეგისტრაციაზე. პანდეემის პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა რეგისტრირებული ბიზნესების რაოდენობაც.

პანდემიის პერიოდში კრიზის სირთულეებიდან გამომდინარე საქმიანობის შეჩერებამ გამოიწვია დასაქმებულთა რაოდენობის შემცირება. 2020 წლის II კვარტალში შემცირდა დაახლოებით 15% -ით ვიდრე 2019 წელს იმავე პერიოდში.[2]

ხელისუფლებამ ანტიკრიზისული გეგმის ფარგლებში გაატარა გარკვეული ღონისძიებები, რათა თანამნშრომლებს შენარჩუნებინათ გარკვეული სამუშაო ადგილები. [3]

ღონისძიებები მიმართული იყო კომპანიებისთვის ფინანსური მდგომარეობის შემსუბუქებისკენ, რათა ისინი არ გამხდარიყვენ იძულებული დეთხოვათ თანამშრომლები მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო (დიაგრამა N1,1,3).

დიაგრამა N1.3.3 დასაქმებულთა რაოდენობა 2019-2020 წწ მცირე და საშუალო ბიზნესებში.

[2] საქსტატი
[3] https://sputnik-georgia.com/reviews/20200418/248276930/ekonomikuri-kriozisi.html
https://b-k.ge/

https://go.mail.ru/search?fr=ps&gp=843022&q=%E1%83%91%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%90&sf=20



წყარო:საქსტატი

ზოგიერთმა კომპანიამ მეტი სტაბილურობის გამო აქცენტი მთავრობის შეკვეთებზე გადაიტანა. ბიზნესის უმეტესობა, სადაც ეს შესაძლებელი იყო, იძულებული გახდა გადასულიყო ონლაინ გაყიდვებზე.შემოსავლების შემცირების კომპენსირების მიზნით გამოკითხული კომპანიების უმეტესობამ მოიზიდა დამატებითი ფინანსური რესურსი ან განახორციელა სესხების რესტრუქტურიზაცია.

ქართული ბიზნეს გარემოპს განუყოფელმა ნაწილმა ACT-ს გუნდმა გადაწყვიტა შეეფასებინა პანდენიის მიმდინარე სტადიის გავლენა საქართველოს ბიზნეს სექტორზე და გამოევლინა თუ როგორ მართავს მენეჯმენტი პანდემიის გავრცელების რისკებს თანამშრომლებში, რა გავლენა კომპაანიის ფინანსურ მაჩვენებელზე რა განწყობაა კომპანიებში.

COVID-19-მა ძირეულად შეცვალა ბიზნესის როლი და მისი კეთების მეთოდები.გარემო, რომელიც გვქონდა ვირუსამდე და გვაქვს ვირუსთან ერთად - ფუნდამენტურად განსხვავებულია.

COVID-19-ით გამოწვეული კრიზისის მასშტაბები უპრეცედენტო ნიშნულს აღწევს , თუმცა პანდემიის გავლენა ბიზნესსზე ჯერ კიდდევ დეტალური სეფასების მიღმაა და მომდევნო ორი- სამი წლის მანძილზე განხორიელდება განცხადებები დანაკარგების შესახებ. მიუხედავად ყველაფრისა დღეს დარწმუნებით შეგვიძლია

იმის თქმა , რომ კრიზისმა მოიცვა ყველა ინდუსტრია, სფერო თუ დაარგი და სამწუხაროდ, ბიზნესში გაურკვევლობა უფრო მეტად ჭარბობს, ვიდრე მოლოდინები, რომლებიც უფრო დიდი საფრთხის შემცვლელია,ვიდრე არსებული დანაკარგები.

ბიზნესის დღევანდელი სამუშაო პროცესი პირობითად შეგვიძლია დავყოთ შიდა და გარე ფაქტორებად.

დღეს ისე როგორც არასდროს, ვხედავთ ტექნოლოგიების ძალასა და გავლენას საზოგადოებისა და ბიზნესის დღის წესრიგზე, რაც გვაძლევს მყარ წინაპირობას , რომ ბიზნესის კეთების ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი სამუდამოდ შეიცვლება და ნაკლებად სავარაუდოა , დაუბრუნდეს კრიზისამდე არსებულ სტანდარტები.

მოგახსენებთ რომ კრიზისის გავლენის შესამცირებლად , სხვადასხვა მთავრობებმა მსოფლიო მასშტბით განაორციელეს მნიშვნელოვანი ღონიძიებები როგორც ბიზნესის , ასევე ცალკეული ოჯახებისა და ინდივიდების მხარდასაჭერად.

გატარებული ღონისძიებები დღითიდღე უფრო დიდ მასშტაბებს მოიცავდა და ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა ბიზნესის დაბეგვრის შემსუბუქება.
COVID-19-ის შემდგომი აღდგენითი პერიოდის როლი მიკრო,მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, რომლებიც მუშაობენ ენერგოეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი ენერგის მოწყობილობების მიოწოდების სფეროში,შესაძლოა გახდეს გადამწყვეტი თუ მათ მიეცემათ საჭირო სტიმული .
შესალოა ბიზნესების ხელახალი გაშვება ან საერთოდ ახლის შქმნა, დასაქმებულთა შორის შიშის ფონზე.ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა იხელმძღვანელონ მკვეთრად გამოკვეთლი ფინანსური პრინციპებით,ხელმისაწვდომი და მოწინავე ტექნოლოგიებით კეთილშბილურ გარემოში, რომელიც შეიქმნა ეფექტური სამთავრობო სტრატეგიების და პოლიტიკის შედეგად.
ბიზნესებს ასევე შეუძლიათ იხელმძღვანელონ ღონისძებების წარმატებით განხორციელების ფაქტიური მაგალითბით,რითაც ისინი მნიშნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მიღებენ .

პროექტის ,,გლობალური ინიციატივა ბიზნეს სექტორის აღორძინების COVID-19-ის შემდეგ მიმართებაში“პირველ ეტაპზე UNECE-ის მოხდა პრინციპები და მოწინავე გამოცდილების ბიზნესისთის ენერგო ეფექტური პროდუქტებისა და განახლებადი მოწყობილობების მიწოდების სფეროში.

საქართველო არის ერთ-ერთი საპილოტე ქვეყანა რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნის სპეციფიკურ პირობებს აღნიშნული კვლევა მოიცავს საქართველოში არსებული გარემოს ანალიზს,რომელსაც ბიზნესი აწყდება COVID-19-ის კრიზისის შდეგად აღნიშნული ცხადყოფს,თუ რა რეაგირებას ახდენს ბიზნესი მიმდინარე გამოწვევებზე.კვლევაში ასევე მოცემულია ზომები,რომლის გატარებაც შუძლია ბიზნეს.

საქართველოში COVID-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა აიძულა მთავრობა გაეტარებინა მკაცრი ზომები, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიზნეს გარემოზე.

ბიზნესის უმეტესობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა სწრაფი ზომების მიღება ვინაიდან ისინი მზად არ იყვენენ და არ იყვნენ დარწმუნებულები რამდენად ეფექტიან რეაგირებას მოახდენდა ვირუსის წინაღმდეგ გარკვეული პროგნოზების არარსებობის გამო.

ბიზნესმა კრიზის უპასუხა წარმოების შემცირებით, დისტანციურად მუშაობით ან საერთოდ შეწყვიტა ოპერაციები. ბიზნესის უმრავლესობა დადგა მომსახურების შემცირებული მოთხოვნილების წინაშე, რის გამოც ოპერაციების შეწყვეტა მოუხდათ ამგვარმა შემცირებამ გავლენა მოახდინა ბიზნესის მოთხოვნაზე და მომსახურეობის მიმართ,გამოიწვია საზოგადოების ინტერესის შემცირება,რასაც ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ გადასახადების სუბსიდირებამაც.

ბიზნესის მიერ COVID-19-თან ბრძოლის საშუალებათა არარსებობის გამო,შემოღბული იქნა ანტიკრიზისული გეგმა,რომელიც მიზნად ისახავდა მოქალაქეთა სოციალური სტატუსის გაუმჯობესებას და ბიზნეს სექტორისთვის გარკვეული ზომების მიღებას, რაც ხელს შეუწყობდა ბიზნესს ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში და დაეხმარებოდა მის აღდგენას პანდემის პირობებში.

ეს ღონისძიებები მოიცავს საშემოსავლოს დან ქონების გადასახადისგან გათავისუფლებას , დღგს დაბრუნებას და ბიზნესისთვის არსებული მიკრო და მცირე გრანტების პროგრამის გაფართოება.

კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავდა მთავრობისა და ბიზნესის რეკომენდაციები, რაც გაზრდის მათ შსაძლებლობებს კრიზის დაძლევის თვალსაზრისით და ხელს შუწყობს ეკონომიკის სწრაფი აღდგენის პროცესს.

კრიზისი სხვადასხვა სახის გავლენას ახდენს მცირე და დიდ ბიზნესებზე.მაგრამ გავლენა მცირე ბიზნესებზე განსაკუთრებით მძიმეა,ის ხასიათება მაღალი დაუცველობით და უფრო დაბალი მდგრადობის დონით,რომელიც დაკავშირებულია მათ ზომასთან.

OECD-ის ყველა ქვეანაში მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის კომპანიათა უმრავლესობა. დამატებული ღირებულების და დასაქმების კუთხით. მცირე და საშუალო ბიზნესები წარმოდგენილია ისეთ სექტორებში,როგორიცა ტურიზმი და ტრანსპორტი,რომლებიც მნიშვნელოვნად განიცდიან ვირუსის გავლენას და ღონისძიებებს,რომლებიც მიღებულია თავიდან ასაცილებლად.

COVID-19 -ის უპრეცენდეტო გარემოებების წინაშე დააყენა ბიზნესი და ბუნებრივია ოჯახები.ეკონომიკის ყველა ასპექტზე კრიზის გავლენის დაძლევა საერთო ამოცანა გახდა, რომელტანაც გაამკლავებასიც პროფესიიონალურ მსჯელობებს, მონაცემებს,რეალურ დროში,ადეკვატურ მხარდაჭერას და ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებსგადამწყვეტი როლი აქვს.

რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ახალმა COVID-19-მა საქართველოში ზოგადად ბიზნესზე და რა საშუალებებით უმკლავდებიან ბიზნესის სფეროები კრიზისულ გამოწვევებს, ამ პრობლემის გადაწყვეტისტვის დღის წესრიგში ბიზნესის მიმდიმნარე პრობლემების და იმ საკიტხების გამოკვეთაა, რომელთა მხარდაჭერის საჭიროება გახდა ბიზნესისათვის.

შპს ფრაისუთერჰაუსკუსკუპერს საქართველომ ინვესტორთა საბჭოსთან ერთად შეიმუშავა კითხვები, რომელიც ემსახურბა COVID-19- ის საქართველოს ეკონომიკასა და ბიზნესის ზეგავლენის მიკვლევის და შესწავლას.

კვლევის მიზანს კი წარმოადგენს ზეგავლენის მასშტრაბების შეფასება, რასაც შეიძლება კომპანიებმა გადააწყდეს პანდემიის პროცესში.

ჯამში 1938 კომპანიის მიერ სრულად შევსებული კითხვარი წარმოადგენს აღნიშნულ პრეზენტაციასინ მოცემული ინფორმაციისნ საფუძველს და მიზნად ისახავს ბიზნესის პანდემიასთან დაკავშირებული ,, პირველადი“რეაქციის ასახვას.

კვლევაში ასევე წარმოდგენილია პასუხი კითხვებზე, რომელიც უკავშირდება ბიზნესის წინასე წარმოქმნილ პრობლემებს, მათ მიერ უკვე ვგადადგმულ ნაბიჯებს, მიმდინარევ ლიკვიდობის პრობლემებს და მათ პროგნოზებს პანდემიის სამომავლო შედეგებზე.

მოთხოვნის შემცირება არის COVID-19-ით გამოწვეული ყველაზე გამოკვეთილი გვერდითი მოვლენა.მოთხოვნის შემცირებამ გამოკვეთილი საწარმოების უმეტესობა, რაც 65% შეადგენს,უკვე შეამცირა შემოსავალი 50%-ით.

ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად სასტუმროები და რესტორნები დაზარალდნენ, რომელტა 75%-ზე მეტმა განიცადა შემოსავლის შემცირება დაწესებული შეზღუდვების გამო.

უკვე არსებული შემოსავლის შემცირებისგან განსხვავებით, შედარებით პოზიტიურიაბიზნესის მოლოდინები სამომავლო შემოსავლებთან დაკავშირებით-გამოკითხულთაგან დაახლოებითნ ნახევარი ელოდება წინა პერიოდთან შედარებითშემოსავლების 50%-ზე მეტით ვარდნასდ.ა,მ შემთხვევაშიც ყველაზე ნეგატიური პროგნოზი სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესი იკვეთება.

მოთხოვნის შემცირებამ , კლიენტების მხრიდან დაგვიანებულმა გადახდებმა და ზოგადად მომხმარებელთა ქცევის შეცვლამ, კომპანიები ლიკვიდობის პრობლემა გამოიწვია.

კომპანიების 28%-ს უკვე შექმნა პრობლემები არსებული ვალდებულებების გასტუმრებასთან დაკავშირებით, ხოლო 15% -ს გეგმავს სემცირებების გარესე ლიკვიდობის შენარჩუნებას.

მოთხოვნის შემცირებამ და წარმოქმნილმა პრობლემების დროულად საპასუხოდ კომპანიებს ტანამშრომლების რაოდენობის შემცირება მოუხდათ.

დღეს, როცა საქართველოში COVID-ის გავრცელების პიკი არ არის მიღწეული, ცხადია, საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე.

სავარაუდოა, რომ, ეფექტი მნისვნელოვანი იქნება, თუმცა იგი დამოკიდებულია რამდენიმე ფაქტორზე.

• მთავრობის მიერ არსებულ ი ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრება.ამ ეტაპისთვისმთავრობა მიმდინარე გამოწვევების პასუხობს,მართავს სამეციდინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტის შეფასებისთვის საკმაოდ შეზღუდული რესურსი რჩება.

• შეზღუდული რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია ცალკეული ეკონომიკური შეღავათების და სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრაბა.ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორიც მაგალითად საბანკო ,, შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს,რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჯიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა - მასში ჩართვისთვის. ყველგან,მმსადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება

• მნიშვნელოვანია კრიზის ვადები და ასევე ის,თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკალავებას - რადგან საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზაციასაც ისინი შეძლებენ.

• კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ელექტრონული მმართველობის მიმართულებით რეფორმების დაჩქარების პლათფორმების განვითარებას და მათი ხელმისაწვდმობის ზრდას.

• საერთაშოფრისო პოზიტიური და ნეგატიური გამოცდილების გააზრება, არა მხოლოდ ჯანმრთელობის, არამედ ეკონომიკური კრიზისის მართვის მიმმართულებით, აუცილებელია.

• ასევე,მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივებიც,ანუ ის, თუ რამდენად შეძლებს ქართული ბიზნესის ნაწილი მაინც თვითორგანიზებას, ახალი ტიპის მომსახურებებისა და პროდუქტების შემუშავებას, რომელიც არსებულ გამოწვებებს მეტად უპასუხებს.

ტურიზმი, რომელიც ბოლო წლეების განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის ყველაზე მნიშვნელოვან სექტორად ჩამოყალიბდა,რომელიც მშპ-ს დაახლოებით

